



წმირათ ხდებოდნენ ამგვარი საქმეები; შეიძლება, რომ სხვაგანაც სოფლის მოსამართლეები «ფულითა სჭრიდნენ სამართალს». თუ ეს მართალია, მაშინ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ეს მოვლინება ძლიერ სამწუხარო მოვლინებაა...

ხეობსენებულო სიტყვებითა და მაგალითებით ჩვენ სრულიად არა გვსურს, რომ რაიმე ურიგო ვსთქვათ ახალს სოფლის სასამართლოებზე. როგორც ამ ნომერში დაბეჭდილის «სცენებისა» აგრეთვე იმ სტატიის დანიშნულება, რომელსაც ახლა კითხულობს მკითხველი, მხოლოდ ის არის, რომ უჩვენოს საზოგადოებას ეს სამწუხარო მოვლინება და ღონისძიება იმის მოსაპოვებლად.

ამობდენ, სოფლის მამასახლისები და მოსამართლეები ქრთამს იღებენო. რა ეშველება ამას? როგორ უნდა მოიხსნას ესა?

უტყველია, რომ პირველი საშუალება, რომელზედაც უნდა მივითითოთ ჩვენ, ის იქნება, რომ გლეხებმა მიუდგომოდნენ და წინადახედით ამოიჩინონ პატიოსანი და საქმის მცოდნე პირები, თუკი სადმე იპოვიან ისინი სოფელში. ამ ამოჩენვაში, რასაკვირველია, ძალიან ბევრის დახმარება მასობრივ უფროსებსა და მომრიგებელ მოშუამდგომლებს შეუძლიანთ თავის რჩევითა და ცოდნით. შენიშნულია, რომ ჩვენს სოფლებში მამასახლისებათ და მოსამართლეებათ უფრო წმირათ შეძლებულ გლეხებსა და ისეთებს ირჩევენ, რომელთაც ქალაქებში უფლიათ და გაქნილობა აჩნევიათ. რათა? განა კარგი მამასახლისობისთვის და მოსამართლეობისათვის სიმდიდრე ანუ შეძლება და გაქნილობა აუცილებელათ საქირაოა? მდიდარი და გაქნილი გლეხის ამორჩევას ყოველთვის ისა სჯობია, ჩვენი აზრით, რომ ღარიბი და პატიოსანი ამოიჩინოს, რადგან ის ყოველთვის უფრო თანაუგრძობს და უკეთ გაიგებს თავის მსგავსი ღარიბი გლეხების გარემოებასა და საქირაობას.

ყველა ეს ნაკლოვანება და შეცდომა, რომელიც ახლა ჩნდება სოფლის სასამართლოებში, უტყველია, დროს განმავლობაში თავის თავით მოიხსნება. მაგრამ რაც უფრო ფრთხილათ აირჩევენ გლეხები თავიანთ მოხელეებსა და რაც უფრო მომეტებულ ყურადღებას მიჰქცევენ ამ საქმეს საზოგადოების კეთილის მსურველი პირები, ისე უფრო მალე დაატყობს სიკეთის ნიშანს ეს ახალი რეფორმა ჩვენ გლეხ-კაცსა, იმ გლეხ-კაცსა, რომელსაც ყოველი მხრიდან ეჭირება ხელის მომართვა და დახმარება...

გორილამ გვწერენ, რომ რკინის გზა ფოთიდან თფილისამდე მისისთვის სრულიად მზათ იქნება, თუ სურამის ქედის ტონელებმა არ დაუშლარო. სურამიდან უფლისციხემდინ რესლები დაწყობილია და სამუშაოვაგონები დაიარება სხვა და სხვა რკინის გზის მასალების საზიდავთო.

წარსულ კვირას აქაური მუხიკალური საზოგადოების ზალაში სომხური წარმოდგენა იყო, შემახილებლის სასარგებლოთ. როგორც «კავკასში» გამოცხადებულია, ამ წარმოდგენიდან სულ 517 მანეთი შემოსულა; მაგრამ 165 მანეთი წარმოგენის გამართვას მონდომია, ასე რომ სულ 352 მანეთი დარჩენილა, რომელიც თფილისის ქალაქის გავლავისთვის გადაუციათ შემახილებლისას ვასაგზანათ.

ამ საქმისთვისვე მიიღება ხელის მოწერათფილისის სამაზრო სამართველოში (окружное управление), რომელსაც აქნობამდი შემახილებლისთვის—6,941 მან. და 59 კაპ. შეუკრები.

«მოსკოვის უწყებებში» სწერენ, რომ კავკასიის ნამესტრის წარუდგენია კავკასიის კამიტეტისათვის წინადადება, რომლის ძალითკავკასიაშიაც ისეთივე კანონები უნდა დაწეს-

დეს თამბაქოს აქციის თაობაზე, როგორიც დანარჩენ რუსეთშია; მხოლოდ ზოგიერთი მცირედი განსხვავება უნდა იქნესო.

წაკვიდგან

(«დროების» კორესპონდენტი)

ორიოდე სიტყვა ზღაპრით

1871 წლის «დროების» ნომერში უ. ქიზიყელი სხვათა შორის სწერს, რომ სიღნაღის სამღვდლოები უმეყოფილო არიან თავის ბედზედო, და მათ არა აქვსთ სასულიერო ჟურნალი, რომ თავისი მწუხარება გამოთქვანო; ეს დიან ჭეშმარიტება უნდა იყოს. მაგრამ ბლაღოჩინები რომ მათ უწყალოთ ექცევიან, რაიცა წინეთაც გაგვიგონია, ეს კი სამწუხაროა და თუ მათი ბლაღოჩინების მოქმედება მართალია, იმაში უნდა იყვნენ დანაშაულები არა მარტო ბლაღოჩინები, არამედ მათი ხელქვეითი სამღვდლოებიც, რადგან ბლაღოჩინია, თუ სხვა თანამდებობის კაცი, ყველას აქვს ხარჯი და მისთვის ყველას უნდა საშუალება, რომლითაც აცხოვროს თავის თავი ოჯახობით და შეძლება ექმნეს თავის ვალდებულების შესრულებსა. რომელი ჩინოენიკი დათანხმდება განწესდეს თანამდებობაში, რომელმაც იმსახუროს უსასყიდლოთ, მთავრობის განკარგულებით იქნება განწყობული თუ საზოგადოების აღმორჩევი? სოფლის მოხელეებს კი ირჩევენ გლეხები, რომლებიც არას აძლევენ მათ, მაგრამ იმათ კარგათ მიჰყავსთ საქმე მანც ეს თანამდებობა ისრეთია, რომ სამს წელს რომ განატარებს სოფლის მოხელე, შეიძლება მეორე სამს წელს სხვა ამოიჩინოს საზოგადოებამ, რადგან ეს მოვალეობა, თუ აღმორჩეულმა სინდისითაწაწა წაიყენა საქმე, მანც და მანც სწავლას არ მოითხოვს. სამღვდლოები კი ეძებენ და ვალიც აქვსთ მოითხოვონ ის-

რეთი საბლაღოჩინო პირები წამოიყვანეს სინდისიანი და ნიჭიერი; თუმცა ესენიც ვადით წესდებიან, მაგრამ ბევრი არ გამოჩნდება ერთს საბლაღოჩინოში ნასწავლი სამღვდლო პირი, რომ შემდგომ ვადისა სხვა ამოიჩინონ, მაშ ერთმა და იგივე პირმა შეიძლება, როგორც უ. ქიზიყელი სწერს, იმსახუროს ბლაღოჩინად რამოდენსამე წელს, რომელსაც, თუ საშუალება არ მიეცეით, ის მიახწვეს უკიდურესს მდგომარეობაში. ამისთვის სამღვდლოებს ვალი აქვს და სასარგებლოთაც დაუჩრებთ მათ, ბლაღოჩინებს განუწყონ ცოტა მანც ჯამაგირი. კალას მღვწე ხარს პირს რომ იმასა ჰგავს ბლაღოჩინების სამსახური: ნურას სკამ, ისრე იმუშავეო. რუსეთის რომელსამე ეპარხიებშიც ისმის ბლაღოჩინებზედ ცუდი ხმა *). ამისათვის იქაურმა სამღვდლოებმა თვითონ განუწყეს ბლაღოჩინებს ჯამაგირი, დაუნიშნეს მათ თანამეწეები, მწერალი და იასაულები **). რასათვის? მისთვის რომ ისინი კარგათ მიხედნენ, რომ უჯამაგირო კაცი მათვის რაც საზარალო არ იქნებოდა, სარგებლობას ვერ მოუტანს. ბლაღოჩინის თანამდებობა, არა თუ სამოქალაქო პირებმა, ბევრმა სასულიერომაც, არ იცის რა შრომას და ხარჯს მოითხოვს; ვარდა იმისა რომ ბლაღოჩინი თავის თანამდებობით ოჯახის გამგებას მოშორებულია და იმითი ზარალი აქვს, მრევლის შემოსავლასაც მოკლებულია, რადგან მას, ვითარცა თანამდებობის პირს, წმირათ შეხვედბა საბლაღოჩინო სოფლებში საირუ-

*) ნსვე ლუხოვ. ლიტ. ასურ. «Странник» 1870 წ., მაისის წიგნი.
**) ისვე უურხადი, ნსვერის წიგნი.

მსაჯულები (მერებს) დაიცა, კაცო, მსტქეს, როგორ იყო. (მერებს გასწავლა და დაწესების ისე).

ასე. საქონელი გამორეკა დილას, ჩვენ ნაფუზარში შევიდნენ, გამოვსიგნენ ჩვენი ძალები, კვიცი მოსწლტა და გზაზე გადავიდა; მაგის ცხენი ერთი რალაც ბაიყუში რამ იყო, დევნა ისე შუა ყანისკენ; ამ დროს ღობეს გარედგან კვიცმა დაუხვივინა, ისკუბა იმ მუდრეგამა და გადაელო ღობეზე. აბა ჩემი რა ბრალია, თქვენი ჭირიმი?

მერებს. (გაბრაზებული) ნუ დაუჯერებთ, სულ ტყუილებს ამობს, მითომ დემეტრეშვილმან ტყუილის თქმა გაუჭირდეთ თუ, მაგათ კალთაში აქეთ გახვეული. (ასეს) შე უგამჩნო, შენა, კოწიწანთ რძალს არ ეცქირია, როგორც კეტებით გეცემათ შენ და შენ ძმას?

ასე. რომელსა, აი კუდიანსა? იქნება ემ-მაკები მოვლანდა!

მერებს. კუდიანი რათ იქნება, რაც ნახა, იმას სწორეთ იტყვის.

მსაჯულები. ჩვენ მოწამე არ გეინდა. დაცა, მერებ, თუ ღმერთი გწამს. (ასეს) სწორეთ ვერე იყო, როგორცა სთქვი?

ასე. ოო! ჩემა მზემ, სულ ესრე იყო, ნამწეწი ტყუილი არა მითქვამს რა.

მერებს. ისემც ისრე მართლა ამოვიგა სული, როგორც შენ მართალი სთქვი.

მსაჯულები (მერებს). მოგიცადე პატარა და! მამასახლისი. ისემ რაცა სთქვა, მართალია.

მერებს. (გაწვეკტივს) არა, კაცო, არა, ხალხნი არა ხართ?

მამასახლისი. მოიცა და, ვაეთათო: საქონელი ყანაში შესულა, ისეს ძალები გამოუტყვია, ცხენი რა ყანაში შერეგია, მაშინ თითონაც და თავის ძმაც გამოსდგომიან გამოსადგებთ. ესე არ იყო, ისაქ?

ასე. (ხამოჯნით). ჰო, ჰო! სწორეთ ვერე იყო.

მამასახლისი. ისეს და ამის ძმას გამოუგ-

ლიათ ყანიდგან, ღობის ძირას რომ მისულა ცხენი და დაუნახამ თავისი კვიცი, გადამხტარა.

მერებს. (გაწვეკტივს) არა, კაცო, მაგათ თურმე კეტებით დაუწყეს ცემა და ისე გადაგდეს.

მამასახლისი. (მერებს). დამაცადე და! მე მგონია. დედა კვიციან არ უნდა გადახტარყო, თუ იმას ძალა არა დასდგამიყო რა, მართალს ამობს მერება. (ასეს) თქვენ სწორეთ კეტებით გიცემიათ და ძალათი გადაგიდლიათ.

მერებს. (ხამოჯნით). ძალათი, ძალათი გადაგდეს, ღმერთმანი... (ატყუებს იქ შეყოფთ შორის ყაყანი, ზოგი ამბობს დედა გადახტობადა, ზოგი ამბობს არა, კვიცი უნდა გადახტარყო დედასთანა).

ერთი მსაჯული. მართალი სთქვა მამასახლისმა: დედა ცხენი არა დროს არ გადახტება თავის კვიციან და კვიცი კი ისეთი ჯიგრიანია, რომ დედის ხმას საცა კი გაიგონებს, უტყველათ უნდა მივიდეს.

ასე. (გაწვეკტივს) არა, ხალხნი, არა, დედა გადახტა, თავი არ მომიკვდება, გადახტათუ არა, მუცელზე ჩამოვიგო.

ხალხი. შეილო, შენ სტყუი, რალა ტყუილებს ლაპარაკობ.

მსაჯულები და მამასახლისი. (ადგებიან). აგერ შუა-დღე მოვიდა, ჩვენ ცოტას შეენაყრდებით, თქვენ ე კარზედ იარეთ, მერე გადავწყვიტოთ, ან ისესთინ ამის საქონელს რა წაუხდენია და ან ის ცხენი რა ღირდა, ოთხი სენდისიანი ოჯახიშვილი ამოიჩინოთ და იმათ დაფასონ ორივეს წინახედი. (ხალხი გამოდის, მსაჯულებიც გამოდის და შურის საჭმელათ მიდის დუქანში; ხალხი გავის და გამოდის განცხადების წინ, ზოგი ჩიუხს სწვეს, ზოგს უბუხს ხაუვებს სელები და იღვასი ხსრე ხსრას, აქეთ დაქვანდარობს და ერთი ზეღმავალი; ამ დროს ამოვიდის იასული).

იასული. (ხალხს). სად არის თქვენი მამასახლისი?

ხალხი. სულებმა და იმან ვერე დუქანისკენ ჩაიარეს.

იასული. იქნება მე ვერა ენახო მამასახლისი, მივეჩქარები, და თქვენ უთხარით, ხვალ ჯარი ამოვიდის და ოცდა ათი ურმის ბევრები მზათ დაიჭიროს; თქვენ გადიტანთ ახალქალაქამდინ, მერე ისინი წაიღებენ. გესმით, არ დაგაწიყდეთ ნამდვილა უთხარით.

ხალხი. ეეტყვით მა რა. (ასაუფი გაქუსლავს ახალქალაქისკენ).

ერთი გლეხი. ეხლა, მგონი, შუა-უზნელეების რიგია ბევრარზედ წასვლისა.

მეორე გლეხი. შუა-უზნელები ქალაქს არიან, მგონი, ისევე ჩვენ გვიკრამენ თავსა.

მესამე გლეხი. მანც არ წავალ, ღმერთმანი, თუნდ რომ დამარბიონ კიდევცა: ჩემს საქონელს ჩლიქები სულ დასცდეთ იმ მუდრეგა თურქულისაგან.

მეორე გლეხი. ჩვენ საქონელსაცა სჭირდა თურქული, მაგრამ ძრიელ ადვილათ იხადეს; ეგეც ანგელოზებით დაიარება, საცა აწყვეინებენ, იქ ძალიან მუსრს ავლებს საქონელს. (ამ დროს განცხადების შემოდან მამასახლისი, მსაჯულები, მწერლები და ასე უკან შემოქეუბა).

ასე. (დრეკით). აბა! თქვენი ჭირიმი, თქვენი, იმედი მაქვს, ზოგს კაცი შემოაკვდება და თავს გადააველებენ ხოლმე: ოლოდ იმის ჯაბანს კი ნუ გამხდით და, რაც ის ცხენი ღირდა, თქვენ მოგართმევთ იმასა.

ერთი მსაჯული. კარგი, კარგი ჩვენ ვიცით. (ამ დროს გარედან შემოდის გლეხები.)

ერთი გლეხი. მამასახლისო, წელიანთ თქვენ წახედით თუ არა, იასაულმა ამოიარა და გვითხრა: მამასახლისს უთხარითო, ხვალ ჯარი ამოვიდისო და ოცდა ათი საბევრო ურემი მზათ იქონიოსო.

მამასახლისი. მერე რა იქნა თითონ?

გლეხი. თითონ ახალქალაქისკენ წავიდა, იქაც უნდა შეეატყობინო, ჩვენებურებმა იქამდინ უნდა ვადიტანონ.

მამასახლისი (გზინს). გზირო! ეხლა ბევრარზე წასვლისა შუა-უზნელების რიგია; წადი და ოცდა ათი ურემი მოაგროვე ხვალისთვისა.

მამასახლისი. მაშ ხვალ თვალადელები წავიდნენ; მერე შუა-უზნელებს ვავაზენი, სულ ერთია. (გზინა გავის, შემოდის მერებს და მოგვებს ორი კაცი.)

მერებს. აი ამ კაცებმა დააფასონ, რაც ღირდა ჩემი ცხენი.

ერთი მსაჯული. მოიცა, ვერ ხომ საქმე არ ვათავებულია; იქნება ეს კაცი მართალია და შენი ცხენი თავის თავით გადახტა კვიციან.

მერებს. წელიან არ იყო საქმე ვათავეო, ყველანი არ ამბობდით, დედა კვიციან არ გადახტებოდა, თუ იმისთვის ძალა არ დეტენებინათო, ეხლა რეებსა ამბობთ?

მსაჯულები. ეხლა ჩვენ მოვიფიქრეთ, რომ ხანდისხან დედაც გადახტება ხოლმე კვიციან და ამიტომ არ შეგვიძლია ეს კაცი ვამატყუნოთ.

მერებს. (გაბრაზებული) რეებს ანბობთ, კაცო, წელიან არ იყო ყველანი ამტყუნებდით და ამბობდით დედა არ გადახტებოდა კვიციანა! ეხლა რა ნახეთ, რომ ამბობთ დედა გადახტება კვიციანა? (მსაჯულებს იქ შეყოფს ხალხს) კაცო, ხალხნი არა ხართ, სწორეთა მსტქეთ!


იასეს მომხრე გლეხები. ჩვენ წელიანე ვამბობდით, რომ ხანდისხან მოხდება, რომ დედა გადახტეს კვიციანა!

მერებს. (გაწვეკტივს) აკი ვითხარით, კაცო, პირი წახდა მსტქე, აღარ არის პირი, პირი აღარ არის! (მსაჯულებს) ამოვიდით განა და იმითომ ლაპარაკობთ მიდგომით? (შეიქეუბა აუღმავალი გლეხებმა; ზოგი ამბობს: ქრამის რა არ შეუქვანს? ნათქვამა: ქრთამი ჯავსოქთს ანათესა)

მერებს. (გაწვეკტივს) დამაცადეთ, მე გამოვაჩენთ მირიოვი სულთან რალაც სულიეები ბრძანდებით... (ხალხი გამოდის ყაყანი, ზოგი მერებს ახათვებს და ჭკიცებს მსაჯულებს, ზოგი იასეს.)

1872 წელს.

ს. კავთელი.



ლის. იქნება გინემ ამხედ პასუხი მომცეს: თუ ზარალთ სთელის ამ თანამდებობას, უარი სთქვასო, ნუ მიიღებს ამ მიმე უსარგებლო ტეროსო. კეთილი და პატიოსანი! მაშინ ამოირჩიოს სამღვდლოებმა? თუ უსწავლელი ამოირჩიეს, მათევე ზარალია, არაკათ არის თქმული: იფხ ხორცს, წვენი არ გამოუთაო, და უსწავლელიც ვერ ამოირჩება ამ ხარჯს. მართლაც გასაკვირველია, რათ თანხმდებიან და თითქმის კიდევაც უღილოდენ ამ მოვალეობის მიღებას. ჩვენს იმერეთის ეპარხიაში მოხდა ორიოდე მაგალითი, სადაცა ბლალაოჩინად აღმორჩევაზედ უარი განაცხადეს, თორემ საზოგადოთ ისრე ეტყენებოდა ამ თანამდებობას, როგორც რომელიმე ჩინოვნიკი კარგი ჯამაგირიანი ადგილის მოქნას ცდილობს; ვგონებ ამიტომაც სამღვდლოები არ ზრუნავენ მათის ჯამაგირისათვის.

ერთი რაქველი, კენჭით აღჩეული ბლალაოჩინი *) მცირედის ქრთამის აღებისათვის დაითხოვა ეპარხიის მთავრობამ თანამდებობიდან და მისი მაგიერი ბლალაოჩინის აღმორჩევა მიანდა სამღვდლოებს; თაე მჯდომარემ მოსთხოვა მათ სამი საბლალაოჩინო კანდიდატები, მაგრამ მათ კანდიდატები დიდხანს ვერ დანიშნეს, მისთვის რომ თურმე შესამდგმელ მეტს მათგანს თვითოეულს სურდა თვითონ გამხდარიყენენ ბლალაოჩინად თუ რომ სიღნაღის ბლალაოჩინებით აქაც შეეძლოთ სარგებლობა სამღვდლოებისაგან, მაშინ სხვა იქნებოდა. აქაც კი, იმერეთის ეპარხიაში, ათის ან თერთმეტის წლის წინათ კარგი შემოსავალი ჰქონდათ ბლალაოჩინებს, მაგრამ ამ უსამართლო შემოსავალმა მღვდელთ მთავრის მეცადინეობით თან და თან იკლო და ეხლა თითქმის მოისპო, რადგან ბლალაოჩინებს, თუ შეგონებით, თუ საყვედურით, დასჯით და გარდაყენებით და თუ მათის მოქმედების საქმეებთან გაუმკარებით აშინებს აქ ბლალაოჩინების უსაყვედურო შემოსავალი არის ერთი მხოლოდ, მიცვალებულის ქირის უფალი თავადი ან შეძლებული აზნაურის თუ მიიწვევს და აჩუქებს ორის მანეთიდან ხუთს მანეთამდე. მაგრამ ბევრი შეიძლება იყოს ერთს საბლალაოჩინოში, რომელმაც ამგარათ დაჰპატიჟოს ბლალაოჩინი? ხუთიდან ათამდე თუ იქნება წელიწადში, გარდა ამისა გზის ფულიც საქმის გამოძიების დროს გადაჭრილი აქვთ ამათ მთავრობისაგან. მაგრამ ისრე გაუძინელდათ ბლალაოჩინებს იმ პირობების შესრულება, ურომლითაც ვერ მიიღებენ ამ გზის ფულს, რომ ათში ერთიც ვერ მიიღებს მას. აბა ეხლა სთქვას ვინმემ, ბლალაოჩინებისთვის ჯამაგირი საჭირო არ არისო! რასაკვირველია, მღვდლები ღარიბები არიან, შემოსავალი ცოტა აქვთ და ბევრს საჭიროებს ითმენენ და ამისთვის მათ ჯამაგირების გარდაწყვეტა ან მიცემა არ შეუძლიათ; მათი შესაბრალელები ცხოვრება ნასწავლ სასულიერო წოდების პირებს აშინებს გახდენ მღვდლებად, — მაგრამ, ჩემის აზრით ჩუმით წაღებულს ცხადათ მიესცეთ უმჯობესია, როგორც ამდებისა, აგრეთვე მიმცემისათვისაც და უმეტეს სასარგებლოთაც დაურჩება სამღვდლოებს. ამ საშუალებით შეიძლება ბლალაოჩინებმა პატიოსანთ იმანურთ და ამ საშუალების დაწყების შემდეგ უფრო ნიჭიერსაც მოაქვან სამღვდლოები ბლალაოჩინის თანამდებობაზედ. მეც ერთი ბლალაოჩინების ხელქვეითთაგანი გახლავართ; მაშ თუ ბლალაოჩინებს ჯამაგირი დაენიშნა სამღვდლოებისაგან, მათი ჯამაგირის მიცემას მეც ვერ ავშორებდი, — მაგრამ კაცობრივი

სინიღისი ითხოვს, მშრომელს პური ვაჭამოთ, რომ არ მოიპაროს და თუ მოიპარა ამ ცოდვის პასუხის-გების მონაწილე ჩვენც შევიქნებით.

მ. ს. შარაბიძე.

28 თებერვალს 1872 წ.

ზაქათადიად

(«დრაკუსი» კორესპონდენცია)

ვინ არ იცის, რომ გარემოებას აქვს ძრიელ დიდი გავლენა კაცის ხასიათზე და იმის ქულის მიმართულობაზე; კაცი ყოველთვის იმისთანა არის, როგორც შექმნეს ამ გარემორტყმულ გარემოებაებმა; აქვს თუ ფიცხი ხასიათი, ან დინჯი, არის თუ კვიანი ან ბრიყვი, — ეს სრულებით იმაზე არის დამოკიდებული, თუ როგორ მდგომარეობაში, როგორ ბუნებაში და ან როგორ ხალხში არის ეს პირი. ერთის სიტყვით, კაცი ჰგავს თიხას მეტურჭლის ხელში, რომელიც მისგან გააკეთებს მისთანა ქურჭელს, როგორც უნდა: უნდა კოკას, უნდა ლიტრას, უნდა ჯამსა და უნდა თევშსა.

სწორეთ ამისთანა მდგომარეობას წარმოგვიდგენს ზაქათალა და მისი მცხოვრებნი. ზაქათალა გახლავსთ ციხე, აშენებული კავკასიის მთების ძირში, ლეკების სოფ. ქარის შესავალს. მოუთმენელი და დაუდგრომელი ხასიათი აქაურის ლეკებისა იყო მიზეზი ამის აშენებისა. ამისთვის ზაქათალას, პირველ შეხედვითვე, აქვს რაღაც გაჯერებული სახე: ამაყათ მორიგებული კბილები და სხილი თუჯის ზარბაზნის ტუჩები, რომელნიც გამოიყურებიან ამ კბილებს შუა, აღძრამენ კაცის გულში რაღაცა შიშს და უნებლიე პატივს. ზაქათალის მცხოვრებლები იყოფიან ორ კატეგორიით: ვაჭრებთან და აფიცრებთან. (აქ აფიცრები თითქმის აღარც კი არიან რიცხვით საღდათზე ნაკლებნი.) ვაჭრები, რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი გახლავან სომხები, და თავისებურათ, პატროსურათ ეპრობიან აქაურს მცხოვრებლებს და ამ სახით გაუესიათ თავისი ჯიბეები. რაც კიდევ შეეხება აქაურს აფიცრებს, ესენი ნამდვილი მარსის ჩამომავლობისა გახლავან. კაკარდიად მოყოლებული და გათავებული დეზებამდინ სულ იმისთანა ჯავრიანი სახე აქვთ, იმ ნაირათ დადიან, იმნაირათ სდგამენ ფეხებს, იმნაირათ ანძრევენ მხრებს, შემოსილს ბრწყინვალე ეპოლეტებით, რომ უნებლიეთი კრძალვა და მორიდება გავივლისთ გულში...

ერთის სიტყვით, ზაქათალაში ისეთი სახმდლო ჰაერი გახლავსთ, რომ ზოგი სხვა წოდების წევრებიც დიდის სიამოვნებით ვასცელიან თავიანთ ტანისამოსს ბრწყინვალე ეპოლეტებთან სერთუკზე, თუ რომ მოახერხეს. ვის არ მოეხსენება, რომ სახმდლო წოდება და თავად-აზნაურობა ერთი და იგივე არის? აგრეთვე აქ. პირველი კვენა აქაურებისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩემი პაპავე აფიცარი იყო, ან კადევ მე თვით ფარანაზის ჩამომავლობისა ვარო. ისინი წმინდათ ჩამოგივლიან თავიანთ გენეოლოგიას ათიღამ თხუთმეტ თაობამდინ.

პირველი გასართობი ზაქათალასი გახლავთ თამაშობა ქალღლისა და ბილიარდისა. იმათ საუბედუროთ, ბილიარდის შარები არ უფარვათ, ისე რომ როგორღაც კოჭლობენ. ქალღლის თამაშობენ უფრო ხშირათ იარალაშს; აქაურები ბრძანებენ, რომ კუთა-გონება იარალაშის თამაშობაში უფრო ინსება კარგათ, სანამ რომელსავე წიგნის კითხვაშიო!.. თუ გნებამთ კჳუიანი დავიძახონ, ჯერ იარალაში ისწავლეთ და მერე ზაქათალას მობრძანდით. იარალაშის თამაშობაში *пужиха*

большая добродетельность! ამბობენ აქაურები.

მაგრამ რაც გინდა ვსთქვათ ზაქათალაზე, აქ იპოვებიან იმისთანა საუნჯეები, რომელნიც ყოველთვის დაჰფარვენ ამის ნაკლებუნებას. ეს — ქალები. აქ ზოგიერთი იმისთანა ქალი ბრძანდება, რომ... ახ! კალამიც კი ჰგონობს, რომ არ შეუძლიან ამათი კადნიერად შემკობა!

ს. კაკაოტა.

მარტის 4-ს, ქ. ზაქათალა:

გორიად მოგვივიდა ტელეგრაფით ამბავი, რომ მარტის 8-ს იქ ყოფილა ქართულ-რუსული სალიტერატურო საღამო, რომელიც იქაურ საზოგადოება ძლიერ მოსწონებია.

ერთს ჰეტეროუდის გასეთში სწერენ, რომ მარტის ორს ს. ჰეტეროუდის უსაგერსიტუტის საღამო კანდიდატს ალექსანდრე ცაგარელს უნდა დაეწვა სამაგისტრო დისერტაცია, სახელად «განსაღვა ივერის ენის გრამატიკული წესბილგობისა».

მინისტრების კომიტეტში შეუტანიათ პროექტი შეეზღვენ ახალი ხომალდების საზოგადოების გამართვის თაობაზე.

უცხო ქვეყნები

საფრანკეთი

მკითხველმა იცის, რომ კორსიკის კუნძულმა თავის დეპუტატათ ნაციონალურ კრებაში გამოჩენილი ბონაპარტიელი — რუერი — ამოირჩია. როგორც ამორჩევის რიგი თხოვლობს, ნაციონალურმა კრებამ გარჩია — კანონიერათ მომხდარა კორსიკაში კენჭის-ყრა თუ არაო. აღმოჩნდა, რომ რუერის ამორჩევის დროს კორსიკაში ბევრი უწესოება და უკანონობა მომხდარა. თითქმის ყველა თანამდებობის პირები კორსიკაში ბონაპარტიელები არიან თურმე და ისინი ყოველ კანონიერ და უკანონო სახსრებს ხმარობდენ, რომ რუერი ამორჩიათ და კიდევ მოახერხეს. თუმცა ეს გარემოება მთელმა ნაციონალურმა კრებამ ცხადათ დაინახა, მაგრამ რუერის ამორჩევა მაინც კანონიერათ ჩაადგეს და მიიღეს დეპუტატათ. გაზეთებში სწერენ, რომ შესვლისათანვე, რუერიმა რომის პაპს წიგნი მისწერაო, რომ პირველი სიტყვა, რომელსაც მე წარმოვსთქვამ ნაციონალურ კრებაში იმაზე იქნებო, რომ თქვენ სერო უფლება დაგიბრუნონო.

— ფრანკული გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად ერთს პროცესზედ, რომელსაც პარიის სასამართლო არჩევს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ნაპოლეონის დროეული ლებერნატორი (პრეფექტი) რაღაც დანაშაულობისთვის მოიწვიეს სასამართლოში. სხვათა შორის ამ საქმის თაობაზე ახლანდელი ფინანსის მინისტრი, პოიე-კერტიე, იყო მოწვეული. თავის ჩვენებაში პოიე-კერტიე ისეთის მიდგომით და თანაგრძობით ლაპარაკობდა ნაპოლეონის მმართველობაზე, რომ ეს ყველას გაუკვირდა და განსაკუთრებით უმადური დარჩა შინაგანი საქმეების მინისტრი, რომელმაც პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ ან მე უნდა დაერჩე მინისტრათ და ან პოიე-კერტიეო. მართლაც უკანასკნელმა გაზეთებმა მოგვიტანა ამბავი, რომ პოიე-კერტიეს თავი დაუნებებია სასამართლის და სამინისტროდამ გამოსულა.

ინგლისი

ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია იმ ინგლისელის, ოკონორის, პროცესი, რომელმაც დამბა დაუმინა კოროლევა ვიქტორიას. ამ პროცესიდან აღმოჩნდა, რომ ოკონორს სრულიად არა ჰქონია განზრახვა, რომ ვიქტორია მოეკლა; იმას უნდოდა მხოლოდ, რომ შეეშინებინა ის და ხელი მოეწვრებინა იმ ქალღლისათვის, რომელიც იმას უნახეს და რომელმაც ჭინების განათვის სუფლებას თხოვლობდა.

— ალაბამის საქმის თაობაზე ამ ჟამად ინგლისსა და ამერიკას შუა გაცხარებული მიწერ-მოწერა არის. ამერიკის მმართველობა არ აპირებს თავის მოთხოვნილების შეცვლას (მკითხველმა იცის, რომ ის თითქმის ხუთ მილიარდამდე სთხოვს ინგლისს ალაბამისაგან ნაზარალებს). ინგლისი თავის მხრით ამბობს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამდენი ფულების გადახდაო. ამ უთანხმოებამ შეაშინა ფრთხილი ვაჭრები, რადგან ომიანობას მოელოდნ და ამიტომ სხვათა შორის ამერიკის ბაზმა გაძვირდა.

ტელეგრაფები

ს ა ლ ს თ ა შ ო რ ი ს ტ ე ჯ ე გ რ ა ფ ი ს ა გ ე ნ ტ ო ნ ი ს ა .

თ ფ ი ღ ი ს ი , 5 მ ა რ ტ ს .
ზარეო. ტიერმა გამოაცხადა ნაციონალურ კრებაში, რომ საფრანკეთის ჯარს სრულიად ომიანთვის ან ემზადება.

ლონდონი. ინგლისის მმართველობას მოუვიდა დღეს ოფიციალური ქაღალდი საფრანკეთად, რომ დღის შემდეგ ზენ შორის ვაჭრობის ტრაქტატს ძალა აღარ ექნება. — სჯალ იქნება მინისტრების სხდომა, რომელზედაც გადაწყვეტენ თუ როგორი პასუხი უნდა გაუგზავნონ ამერიკას ალაბამის საქმის თაობაზე.

ს. ჰეტეროუდი. ხელშეიფა იმპერატორად, ავთიმეოფობისგამო, მიიღო წმ. საიდუმლო, ლიტურგიის შემდეგ.

ქეარე შინაგანის სისტიმის ტირაფი, მარტის 1-ს:

№ ხერისა	№ ბილეთისა	ჯამი მოგებასა
21) 15,109...	25	ს ა ლ ს თ ა შ ო რ ი ს ტ ე ჯ ე გ რ ა ფ ი ს ა
22) 13,342...	1	
23) 16,489...	27	
24) 11,068...	49	
25) 10,978...	4	
26) 3,521...	50	
27) 8,122...	3	
28) 10,985...	43	
29) 11,653...	10	
30) 1,083...	28	
31) 18,494...	24	
32) 5,435...	20	
33) 11,829...	8	
34) 8,932...	49	
35) 2,849...	16	
36) 16,024...	25	
37) 5,439...	27	
38) 22...	17	
39) 9,980...	27	
40) 4,551...	36	

სხვა სანამროდო

პირველი სტატია

უტყველია, რომ ყოველნაირი სწავლა, დაფუძნებული სამეცნიერო ჰუმანიტებაზედ, შეადგენს თითოეულ კაცისათვის დიდს შემენას, შემატებას; იგი გაავანირებს მის გონებრივგონიონტსა, მისცემს მისნიქს შორს-მჭერეტელობის ძალასა და ერთი სიტყვით, გაამდიდრებს მის გონებრივ მდგომარეობას, მისს, ესრეთ ვსთქვათ, კაცობას. ამ მცირე სიტყვებისაგან დაინახების, თუ ყოველნაირს სამეცნიერო სწავლას საზოგადოლო რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითოეულ ჩვენთვის; მა-

(*) კენჭით აღჩეულ სრულიად ამერიკის ეპარხიაში დაიწყო 1870 წელს.

